შრომითი ხელშეკრულება N43

ჩოხატაური

17 ივლისი 2015 წ.

ერთის მხრივ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ მამალაძის სახით, (შემდგომში ,,დამსაქმებელი") და მეორეს მხრივ მოქალაქე ჯუმბერი ბერძენიშვილი (შემდგომში ,,დასაქმებული") პ/მოწმობის ნომერი 13ID48839, პ/ნომერი 46001003038 ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:,

1.1. დამსაქმებელი თანახმაა დაასაქმოს დასაქმებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურედ _ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში მოწვეული სპეციალისტის თანამდებობაზე ხოლო დასაქმებული თავის მხრივ იღებს ვალდებულებას შეასრულოს სამუშაო დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული თანამდებობის მიხედვით, რისთვისაც გაცნობილია ინფორმაციას შესასრულებელი სამუშაოს, შრომის პირობებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ და თანახმაა ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად, უზრუნველოყოს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება, რისთვისაც იღებს გასამრჯელოს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. დასაქმებული ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს:

2.1.1 უზრუნველყოფს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად კომისიის თავმჯდომარისათვის დახმარებას გაწევას.

2.1.2 დაიცვას შრომის შინაგანაწესი, პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს

2.1.1. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება.

2.1.3 გაუფრთხილდეს ორგანიზაციის ქონებას.

2.1.4 შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო დროულად და ხარისხიანად.

2.1.5 დაიცვას შრომის უსაფრთხოება, ტექნიკური უსაფრთხოება და სანიტარული სისუფთავე.

2.2. დასაქმებულს უფლება აქვს:

2.2.1. მოსთხოვოს დამსაქმებელს წინამდებარე ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის დაცვა.

2.3. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.3.1. შეუქმნას დასაქმებულს 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოსათვის შესაბამისი შრომითი, ტექნიკური და სანიტარული პირობები.

2.3.2. გააცნოს დასაქმებულს ორგანიზაციის შრომის შინაგანაწესი, სამოქმედოთ შემოღებული წესები, ინსტრუქციები.

2.3.3. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის დროული ანაზღაურება

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

2.4.1. მოსთხოვოს მუშაკს წინამდებარე ხელშეკრულების, შინაგანაწესის დაცვა.

3. ანაზღაურება:

დასაქმებულის შრომითი გასამრჯელოს ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ფიქსირებული 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, საიდანაც დაკავდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული გადასახადი.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით, 2015 წლის 16 ივლისიდან 2015 წლის 16 აგვისტომდე.

5. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევა და ,,საქართველოს შრომის კოდექსის" 37-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

6. შრომითი ხელშეკრულების ვადამდე ადრე მოშლა

დამსაქმებელს შეუძლია დასაქმებულთან ვადაზე ადრე მოშალოს შრომითი ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ გამოვლინდა, რომ დასაქმებული არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს ვერ ასრულებს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ბ) დასაქმებული მიერ შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების განზრახ, უხეში შეუსრულებლობის გამო.

7. პასუხისმგებლობა

დასაქმებულის პასუხისმგებლობა წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისას და მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს პირადად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დამსაქმებლის მიერ დადგენილი შრომის შინაგანაწესით, შიდა სამსახურებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მოლაპარაკების გზით, გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

დამსაქმებელი	დასაქმებული
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯომარე:	
----------	----------
ზაალ მამალაძე	ჯუმბერი ბერძენიშვილი